# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 15 აპრილი 2006 №84 (2706) ფასი 50 თეთრი


# მადონინას ქართული დონე



## კალაძის ინტერესი მარტო ინტერი არ იყო: კახამ მილანი ბარსელონასთვის გაამზადა


AFP მილანიდან

კალაძის დერბი; კალას სიტყვა; ბრავო, კახა! — აი, ასეთი სათაურებით აჭრელდა წუხელ იტალიური სპორტული ვებგვერდები...

გუშინ მილანში მსოფლიოს ერთ-ერთი გამორჩეული დერბი, „მადონინა" შედგა, ანუ „მილანი" — „ინტერი" იყო და იგი კახა კალაძის ბენეფისად იქცა: 70-ე წუთზე ჩვენიანის გატანილი გოლი ერთადერთი აღმოჩნდა...

კახა კალაძემ კარიერის უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა, იტალიურ ლიგაში — უკვე მეთორმეტე.

— „მილან" — „ინტერის" ყველა მატჩი ხომ ისედაც გამორჩეული და პრინციპულია, ამ შეხვედრას კი სატურნირო ცხრილისთვისაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ფაქტობრივად, მეორე ადგილის ბედი წყდებოდა — გვითხრა წუხელვე კახა კალაძემ — თანაც, სამშაბათს „ბარსელონასთან" ჩემპიონთა ლიგის თამაში გველის და „ინტერის" ახლა დამარცხება ჩვენთვის ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც ფასდაუდებელია: „ბარსასთან" დიდი მატჩის წინ ხასიათი გამოგვიკეთდა და დარწმუნებული ვარ, ესპანელებსაც ღირსეულად დავუხვდებით.

— გოლი გოლად და, შენი გატანილი ძალიან ლამაზიც იყო...

— მართლაც კარგი გამოვიდა: ზეედორფის ჩაწოდებულს საჯარიმოში დავხვდი, ბურთი მკერდზე მივილე და დავარტყი. მეკარეს, მგონი, მოგერიების შანსი არც ჰქონდა.

— იტალიაში ეს შენი მე-12 გოლი იყო.

— ამ სეზონში კი მეორე...

— ფიქრობ, რომ გუშინდელი გოლი შენს კარიერაში უმნიშვნელოვანესია?

— მცველისთვის ყველა გოლი დასამახსოვრებელი და აღსანიშნია, მაგრამ „ინტერთან" გატანილს მაინც სხვა ფასი აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ „ბარსელონასთან" მატჩის წინ გავიტანე. თან მოვიგეთ და „ინტერთან" ქულებში სხვაობა ხუთამდე გავზარდეთ. „ბარსელონას" კი ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ძალიან კარგ ფორმაში შევხვდებით.

**ქობა ინასარიძე**


AFP მილანიდან


AFP მილანიდან

# მუჯირი სამარული ადიდასით არ ითამაშებს



სამარის „კრილია სოვეტოვი“ ჩვენებურ ლეგიონერ დავით მუჯირთან ერთად გუშინ გულშემატკივრების წინაშე წარსდგა — შეხვედრამ ორ საათს გასტანა, „კრილიას“ მწვრთნელ-ფეხბურთელებმა ქომაგთა კითხვებს უპასუხეს, მერე კი კლუბის ვებგვერდზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გუნდის სამ გამორჩეულ ფეხბურთელს „ადიდასის“ ბუცები გადასცეს და ერთი წყვილი დავითსაც ერგო.

მუჯირს გუშინ შევეხმიანეთ სამარაში...

— ამ შეხვედრის მთავარი მიზანი ის იყო, რომ გუნდის ახალწვეულები წარგვადგინეს გულშემატკივრებთან. ეს დაგვიანებით იმიტომ მოხდა, რომ რამდენიმე დღეა, რაც სამარაში ვართ, მანამდე კისლოვოდსკში ვიყავით ორკვირიან შეკრებაზე.

— წინა ტურში „ზენიტს“ 3:2 მოუგეთ და შენ ორი პენალტი გაიტანე...

— პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ და მეტოქეს აშკარად ვაჯობეთ. პენალტის დარტყმა მწვრთნელს არ დაუვალებია, ეს მოედანზე გადაწყდა. მოკლედ, მანამდე არ ვიყავი „დანიშნული“ გუნდის პენალტისტად.

— რამდენიმე წელი ავსტრიაში თამაშობდი და ცხოვრობდი — როგორ ეგუები სამარაში ყოფნას?

— სამარა ევროპასთან ვერ მივა, მაგრამ ამ ეტაპზე ჩემი კარიერისთვის ასე ჯობდა. აქ აკლიმატიზაცია, ალბათ, არ გამიჭირდება.

— „ადიდასის“ ბუცები გადმოგცეს და მას სუვენირად შეინახავ თუ სათამაშოდ გამოიყენებ?

— მე კვლავაც „პუმას“ ბუცებით ვითამაშებ, რადგან ამ ფირმასთან ავსტრიაში გავაფორმე კონტრაქტი. ხელშეკრულება მაისში მიმთავრდება, მაგრამ შესაძლოა, „პუმასთან“ კონტრაქტი გავაგრძელო.

**დავით თამართქილაძე**

# ჩერნიშოვი დინამოს ჩელსის და მილანს აყურებინებს

## მაგრამ კაპიტანმაც არ იცის, რას სჭირს გუნდს



მეორე წრეში მეექვსე ადგილი — ასეთი ცუდი შედეგი თბილისის „დინამოს“ აქამდე არ ჰქონია. ამით იმის თქმა არ გვსურს, რომ „დინამოს“ ბოლოდროინდელი წარუმატებლობები მხოლოდ მწვრთნელის ბრალია — ალბათ მთლიანად „დინამოშია“ რაღაც პრობლემა, რაც გუნდს იმის საშუალებას არ აძლევს, რომ თავისი პოტენციალი სრულად გამოავლინოს.

და მაინც, რა სჭირს „დინამოს“? მეტწილად ამაზე ვესაუბრეთ გუნდის კაპიტან ლაშა ნოზაძეს...

— „დინამოს“ არცთუ ხანმოკლე ჩავარდნას თავისი მიზეზი აუცილებლად უნდა ჰქონდეს...

— არ ვიცი, ეს რისი ბრალია, კლუბში ყველაფერი ნორმალურადაა და მიჭირს, რაიმე მიზეზის დასახელება. ბოლო მატჩში „სიონთან“ არანაირი ფსიქოლოგიური ტვირთი არ გვქონდა, მაგრამ მაინც წავაგეთ. ჩვენი კრიზისი მართლაც დიდხანს გაიწელა.

— ყველაფერ ამასთან დაკავშირებით „დინამოში“ საგანგებო კრება ხომ არ გამართულა, სადაც გუნდის გარდა კლუბის ხელმძღვანელობაც იყო?

— კრება არ ყოფილა, მაგრამ სულ იმაზე ვლაპარაკობთ, თუ რატომ ვართ ასეთ მდგომარეობაში. კლუბის ხელმძღვანელობა კი ყველაფერს აკეთებს გუნდისთვის.

— შედეგზე პასუხისმგებელი პირველ რიგში ალბათ მთავარი მწვრთნელია...

— არა მგონია, ყველაფერი მწვრთნელის ბრალი იყოს. მოედანზე ფეხბურთის თამაში ფეხბურთელებს გვევალება, ჩვენ კი მეორე წრეში ვერც ერთი პრინციპული მატჩი ვერ მოვიგეთ.

— ასეთი დაღმასვლა „დინამოს“ საქართველოს ჩემპიონატში აქამდე არ ჰქონია, შენს უწინდელ გუნდში კი აშკარად უკეთესი შედეგები გქონდა...

— „ვიტ ჯორჯიადან“ „დინამოში“ გადმოსვლის შემდეგ თამაშს მოვუმატე, აქ ისეთი პირობებია, სხვანაირად ვერც იქნებოდა, მაგრამ მეორე წრეში ვერც ერთი დინამოელი ვერ აჩვენებს იმ თამაშს, რაც „დინამოს“ ეკადრება.

— ფეხბურთელს „დინამოს“ მაისურა რომ აცვია, ეს მასზე დიდად აღარ მოქმედებს?

— „დინამოს“ მაისურა თავისას შვრება, მაგრამ ისიცაა, რომ ჩვენ წინააღმდეგ ყველა გუნდი გაათმაგებული მონდომებით თამაშობს. ისიც უნდა ვთქვა, რომ რატომღაც სულ ჩვენ საწინააღმდეგოდ ცდებიან მსაჯები. „ზესტაფონთან“ სათასო მატჩში გოლი არ ჩაგვითვალეს, „ბორჯომთან“ არდასანიშნი თავისუფალი დარტყმა დანიშნეს ჩვენს საჯარიმოში და გოლიც იქიდან მივილეთ; ხოლო, როცა „ბორჯომის“ კარში პენალტი დაინიშნა, ბორჯომელმა ფეხბურთელებმა მსაჯს აგინეს, მაგრამ არბიტრმა არავინ გააძევა; ამავე თამაშზე ვიღაც შემოვარდა მოედანზე, რამაც მსაჯზე დამთრგუნველად იმოქმედა. მოკლედ, არა მგონია, ჩვენ საწინააღმდეგოდ მსაჯები რომ ცდებიან, ეს შემთხვევითობა იყოს.

— „დინამოს“ ჩავარდნა იმის ბრალი ხომ არ არის, რომ გუნდში არ გამოჩნდა ისეთი გამოკვეთილი ლიდერი, ვინც თანაგუნდელებში, ასე ვთქვათ, ცეცხლს დაანთებდა?

— გამოკვეთილი ლიდერი „დინამოს“ არ ჰყავს, მაგრამ სამი-ოთხი ფეხბურთელი ვართ ისეთი, გუნდის საბრძოლოდ განწყობა რომ შეგვიძლია. თამაშამდე ყველაფერი რიგზეა ხოლმე, მაგრამ როცა მოედანზე გავდივართ, რა გვემართება, არ ვიცი.

— სატურნირო ცხრილის ზედა შვიდეულიდან „დინამო“ ხუთს უკვე ეთამაშა და ვერც ერთს ვერ მოუგო — ნუთუ იმ ერთთანაც ვერ აფეთქდება „დინამო“?

— ფაქტობრივად, ეგ მიზანიღა შეგვრჩა და ვფიქრობთ, „ბათუმს“ დავამარცხებთ — მეორე წრეში ამით მაინც დავამახსოვროთ თავი ყველას.

— ბოლოხანს გუნდს პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი ხომ არ შეხვედრია?

— არა.

— „დინამო“ თავისი საკლუბო პოლიტიკის შეცვლას ხომ არ აპირებს?

— არ ვიცი, ამის თაობაზე ჯერ არაფერი გამიგია.

— მეორე წრის წინ „დინამომ“ რამდენიმე შეკრება გაიარა და საქართველოს ჩემპიონატში ამ დროისთვის ამბიციურ გუნდებთან ის უპირატესობაც აქვს, რომ საკუთარი ბაზა გააჩნია. მიუხედავად ამისა, „დინამო“ ვერც ფიზიკურ მომზადებაში ჯაბნის მეტოქეებს. ფეხბურთელები ზედმეტი დატვირთვებისგან გადაღლილები ხართ?

— არა, გადაღლას არ ვუჩივით. მომზადებისთვის იდეალური პირობები კი გვაქვს, მაგრამ ამ უპირატესობას მართლაც ვერ ვიყენებთ, ასეთი უპირატესობა შარშან გამოვიყენეთ და ჩემპიონები გავხდით, ახლა კი არ ვიცი, ამას რატომ ვეღარ ვახერხებთ...

— რა სათამაშო სტილს ანიჭებს უპირატესობას ჩერნიშოვი?

— „მილანი“ და „ჩელსი“ — ასეთი მოდელი მოსწონს ჩერნიშოვს და ცდილობს, ასეთი სტილი დანერგოს „დინამოშიც“. თეორიულ მეცადინეობებზე ხშირად ჩაგვირთავს ხოლმე „მილანის“ ან „ჩელსის“ თამაშების ფირებს.

— შეიძლება ითქვას, რომ „დინამოს“ ასეთი ჩავარდნა მაინც უფრო ფსიქოლოგიური ხასიათისაა?

— ვერ მოვიგეთ ვერც ერთი პრინციპული თამაში, ამას დაემატა მსაჯობა და ამ ყველაფერმა ჩვენზე ფსიქოლოგიურად იმოქმედა, ჩავარდნაც ამის ბრალი უნდა იყოს.

— როგორ აპირებთ ასეთი სიტუაციიდან თავის დაძვრენას?

— ფსიქოლოგიურადაც ჩერნიშოვი გვამზადებს, გვარიგებს, მსაჯებს არ ვკამათობთ და მეტოქეთა ფსიქოლოგიურ მინუსებზე გველაპარაკება.

**დავით თამართქილაძე**

## ინგლისი

პრემიერლიგა
XXXV ტური
მანჩესტერი 0:0 სანდერლენდი

ჩემპიონატი
XLIII ტური
კარდიფი 0:1 შეფილდი
ვულვზი 1:1 უოტფორდი

პირველი ლიგა
XLII ტური
საუთენდი 0:1 ჯილინგემი
იოვილი 0:1 სკანთორპი

კონფერენსლიგა
XXXIX ტური
ძონვი 2:1 კიდერმინსტერი
კემბრიჯი 2:0 იორკი
ჰალიფაქსი 1:1 სტივენეიჯი

## ავსტრია

პირველი დივიზიონი
XXVIII ტური
ალტახი 3:3 კერნტენი
აუსტრია (მ) 0:1 აუსტრია (ლ)
კაპფენბერგი 3:1 კუფშტაინი
ლინცერი 3:0 ლეობენი
შვანენშტადტი 1:0 გრატკორნი

## ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
XXXIII ტური
ბარსელონა 1:0 ვილიარეალი

## საფრანგეთი

პირველი დივიზიონი
XXXV ტური
ტულუზი 2:0 მეცი

მეორე დივიზიონი
XXXIV ტური
კლერმონი 0:0 რეიმსი
დიჟონი 2:1 შატორუ
გენიონი 2:0 ბასტია
გენგამი 6:0 ამიენი
ისტრი 0:1 კრეტეი
სედანი 1:1 ლავალი
სეტე 1:2 ვალანსიენი
კაენი 4:1 ლე ავრი

## ბელგია

იუპილერლიგა
XXXI ტური
ანდერლეხტი 5:0 ვესტერლო

## პორტუგალია

სუპერლიგა
XXXI ტური
ბელენენსეში 3:1 სეტუბალი
პორტუ 1:0 ლეირია

## ირლანდია

პრემიერდივიზიონი
VI ტური
ბოჰემიანსი 0:0 სენტ პატრიკსი
ბრეი 0:0 კორკი
დროჰედა 1:0 დუბლინი
შელბურნი 1:0 დუბლინ სიტი

## უნგრეთი

ბორსოდი ლიგა
XXIII ტური
დებრეცენი 6:1 რეაკი

## შვედეთი

ალსვენსკა
III ტური
გიოტებორგი 2:2 ჰელსინგბორგი
კალმარი 1:2 გაის
იოსტერსი 3:4 ელფსბორგი

სუპერეტა
I ტური
იონკოპინგი 3:2 ბრომაპოიკარნა

## ხორვატია

ნაციონალლიგა
პლეი აუტი. V ტური
ინტერი 1:4 პულა

# ტოპმიოლერის ძღვენი გაბიტაშვილისთვის



1981 წელი, 13 მაისი. დიუსელდორფში თასების მფლობელთა თასის ფინალში თბილისის „დინამომ“ იენის „კარლ ცაისი“ 2:1 დაამარცხა, მატჩის დამთავრებიდან რამდენიმე წამში კი „დინამოს“ მასაჟისტმა ანზორ გაბიტაშვილმა შეხვედრის არბიტრ რიკარდო ლატანცის ის ბურთი გამოსტაცა, რომლითაც ვლადიმერ გუცაევმა და ვიტალი დარასელიამ გერმანელთა მეკარე ჰანს-ულრიხ გრაპენტინს გაუტანეს გოლები.

ეს ამბავი საქართველოს ეროვნულ ნაკრების თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა ახლახან შეიტყო და გაბიტაშვილს და მის მეუღლეს საჩუქარი გაუკეთა — ერთკვირიანი მოგზაურობა გერმანიაში და მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩზე დასწრება.

**დავით თავართქილაძე**

# ვან გაალი შოთას არ ათამაშებს

**ხვალ** ჰოლანდიური ერედივიზიონის ბოლო ტურია. შოთა არველაძის „ალკმაარი“ „ჰერენვენს“ სტუმრობს და ალკმაარელთა დამრიგებელმა ლუის ვან გაალმა გადაწყვიტა, არველაძე ამ შეხვედრაში არ ათამაშოს.

საქმე ისაა, რომ ჰოლანდიის ჩემპიონატი ამით არ მთავრდება — მეორე-მეხუთე ადგილზე გასული გუნდები პლეი ოფში შეხვდებიან ერთმანეთს და საუკეთესო ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის საგზურს მოიპოვებს.

„ალკმაარი“ ახლა მეორე ადგილზეა და ეს პოზიცია რომ შეინარჩუნოს, ხვალ ფრეც აწყობს „ჰერენვენთან“: თუ „ალკმაარმა“ ეს შეძლო, პლეი ოფის პირველ დაპირისპირებაში მეხუთე ადგილზე გასულ გუნდს შეხვდება, რომელიც, სავარაუდოდ, „უტრეხტი“ იქნება.

პლეი ოფის პირველი მატჩები 20-21 აპრილს გაიმართება, ვან გაალიც არველაძეს სწორედ ამისთვის ამზადებს და ხვალ „ჰერენვენთანაც“ ამად დაასვენებს.

არველაძემ ჰოლანდიიის ჩემპიონატში 22 გოლი გაიტანა და რვა ბურთით ჩამორჩება აიაქსელ კლასიან ჰუნტელაარს. ბომბარდირთა დავაში გოლების დათვლა პლეი ოფშიც გაგრძელდება, თუმც ჰუნტელაარის დასაწევად შოთას იოტისხელა შანსიღა დარჩა.

**დავით თავართქილაძე**

# ქინქლაძეს ჯანი შემოსწყრა
## ჯერ ნეკნი, ახლა საზარდული

**რუსული** პრემიერლიგის წინა ტურში ყაზანის „რუბინმა“ ნალჩიკის „სპარტაკთან“ 1:3 რომ წააგო, რუბინელ გიორგი ქინქლაძეს ტრავმის გამო არ უთამაშია — სეზონისწინა მოსამზადებელ ეტაპზე მას ნეკნი გაუტყდა და მერე ტრავმა გაუმიზეზდა.

ახლა ქინქლაძეს ნეკნი წესრიგში კი აქვს, მაგრამ კვლავ ტრავმირებულია...

— უკვე რამდენიმე დღეა, მოსკოვში ვარ სამკურნალოდ. ერთ-ერთ ვარჯიშზე მარჯვენა საზარდული დავიზიანე და ტრავმა ისეთი აღმოჩნდა, რომ მოსკოვში გამომგზავრება აუცილებელი გახდა. ნემსებს ვიკეთებ და ფიზიოთერაპიას ვიტარებ. თუ ყველაფერი კარგად წავიდა, ყაზანში ოთხ დღეში დავბრუნდები და სრული დატვირთვით ვარჯიშს განვაახლებ — გვითხრა გუშინ ქინქლაძემ სატელეფონო საუბრისას.

დღეს „რუბინი“ მოსკოვის „სპარტაკს“ მასპინძლობს და ქართველთაგან ალბათ ლაშა სალუქვაძეს და მიხეილ აშვეთიას მოუწევთ თამაში, ნუკრი რევიშვილის სასტარტოში მოხვედრა კი ძალიან საეჭვოა.

**დავით თავართქილაძე**

# ჩერნიშოვს კაჭარავა მიაშველეს

**თბილისის** „დინამოს“ ამჟამინდელ მწვრთნელს ანდრეი ჩერნიშოვს დღეიდან თამაშებისა და ვარჯიშების წარმართვაში კახა კაჭარავა დაეხმარება და მისი სტატუსი მეორე მწვრთნელი იქნება — ეს ამბავი გუშინ „დინამოს“ პრესსამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ გვაცნობა.

კახა კაჭარავა აქამდე „დინამო 2“-ის თავკაცი იყო, გუნდი კი პირველ ლიგაში მეოთხე ადგილზე დატოვა. დატოვა, რადგანაც კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ის ახლა მხოლოდ „დინამოს“ მთავარ გუნდში იმუშავებს.

კაჭარავა ჩერნიშოვისთვის მესამე თანაშემწე იქნება. დღესდღეობით მწვრთნელს ასევე რუსი ანდრეი დმიტრიევი და გელა ჭანტურია ეხმარებიან.

ვნახოთ და დაველოდოთ „დინამოს“ მომდევნო ნაბიჯს...

**კობა ინასარიძე**

# ჩიხურა ოღრო-ჩოღროს შორდება
## ზემოიმერლები ზაფხულს ახალი სტადიონით ავლენ



**რამდენი** კეთილმოწყობილი სტადიონია საქართველოში? იდეალური — არც ერთი, ასე თუ ისე გამოსადეგი კი — ძალიან ცოტა, ჰოდა, სანდო წყაროდან ერთი სასიამოვნო ინფორმაცია შევიტყვეთ — მალე საჩხერეში კოხტა სტადიონი გაკეთდება.

მოგეხსენებათ, საჩხერის „ჩიხურა“ პირველი ლიგის ლიდერია, ძნელი წარმოსადგენია, უმაღლესში ვერ გადავიდეს და ზემოიმერლებიც აღარ აპირებენ ოღრო-ჩოღრო მოედანზე ბურთაობას...

სტადიონის რემონტისთვის საჭირო უმეტეს ხარჯს ბანკი „ქართუ“ გაიღებს. საჩხერის რაიონის გამგეობა კი 5 000 პლასტმასის სკამის დამონტაჟებას მოაბამს თავს.

სტადიონზე გამოიცვლება მინდორიც და, სავარაუდოდ, უცხოეთიდან ჩამოიტანენ გაზონს. ასევე დამონტაჟდება ტაბლო...

სარემონტო სამუშაოები საჩხერეში ძალიან მალე დაიწყება და ამის გამო „ჩიხურა“ პირველი ლიგის ბოლო ორ საშინაო შეხვედრას სხვა ქალაქში გამართავს.

მოკლედ, ისეთი პირი უჩანს, „ჩიხურა“ ერთწლიანი გუნდი არ უნდა იყოს და, რა თქმა უნდა, კარგი იქნება, სიტყვა საქმედ თუ იქცევა.

**ნუკრი ლოლაძე**

# გააჩნია, სად ვიქნებით
## მაღაროელმა მომავალს და სკამს შეხედა

**პირველი** წრის შემდეგ ჭიათურის „მაღაროელი“ თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. პირველი ლიგა 9 ქულით ბოლო ადგილზე დაასრულა.

რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ მამუკა გოგატიშვილის ძალისხმევით, მეორე წრეში „მაღაროელმა“ რამდენიმე მოთამაშე დაიმატა და რაიონის ბიუჯეტიდან დაფინანსდა, რის შემდეგაც ჭიათურელებმა ქულების დაგროვება დაიწყეს.

კლუბის პრეზიდენტ თემურ ბიწაძის თქმით, „მაღაროელს“ პირველ ლიგაში დარჩენა სურს და თუ ასე მოხდა, მომავალი სეზონიდან ფარმკლუბიც შეიქმნება.

და ერთი სასიამოვნო ცნობაც: ახლახან შეკეთდა სტადიონის გასახდელები და საშხაპეები, მომავალი წლიდან კი თემურ მაღრაძის სახელობის სტადიონის ტრიბუნების რეკონსტრუქცია იგეგმება.

**ნუკრი ლოლაძე**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
25 თეთრად

საქართველოს რეგიონებში
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
12 თეთრად

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# ნუ ელით ფოთში მაზოხისტებს

## მერაბ ასანიძე: ჯოჯოხეთში ექსკურსიას არ ვაპირებთ

**გუშინწინ ფეხბურთის ფედერაციაში უმაღლესი ლიგის კლუბების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. თავყრილობას ფოთის „კოლხეთის" პრეზიდენტი მერაბ ასანიძეც დაესწრო და თავისი გულისტკივილი გაუზიარა კოლეგებს. გუშინ ბატონი მერაბი რედაქციაში ვიწვიეთ და არამხოლოდ „კოლხეთი" — „ამერის" ყბადაღებულ სათასო დაპირისპირებაზე ვესაუბრეთ. თუმცა, ბუნებრივია, ინტერვიუ მაინც იმ მატჩით დაიწყო...**



— „კოლხეთის" მიერ „ამერისთვის" თასის ნახევარფინალის საგზურის დათმობა უბრალოდ ფანტაზიის ნაყოფია. ასეთი მიდგომა მხოლოდ ზიანს აყენებს ქართულ ფეხბურთს. მით უფრო არასერიოზულია, როცა იწერება, ამის შესახებ ფოთის მოსახლეობა ლაპარაკობდაო. „კოლხეთში" ფოთის მერის, ბატონ ვანო საღინაძის თხოვნით მოვედი და ქალაქის საკრებულოში საკმაოდ სერიოზული პოსტი დავტოვე. ვინც კარგად მიცნობს, ამას არასოდეს იტყვის და შეურაცხყოფას არ მომაყენებს.

**— შესაძლოა, ფოთის მოსახლეობა კონკრეტულ თანხებზე არ საუბრობს, მაგრამ ეგებ უკმაყოფილება არის გუნდის მიმართ...**

— გუნდზე ამგვარი ინფორმაციის გავრცელება უარყოფით ველს ქმნის მთელ ქალაქში, მაგრამ მე ერთი რამის იმედი მაქვს: არც ერთი თამაშის შემდეგ „კოლხეთის" ქომაგები უკმაყოფილონი არ დარჩენილან, რადგან გუნდი შესაძლებლობის ზღვარზე თამაშობს. თუნდაც „ამერთან" მატჩში ნამდვილად არ დავჩაგრულვართ და მომენტებიც საკმაოდ შევქმენით, მაგრამ არ გაგვიმართლა. გუშინწინაც დასანანად დავმარცხდით 93-ე წუთზე. ჩემთვის ვფიქრობ, „ამერთან" ეს შეხვედრა ფრედ რომ დასრულებულიყო, ხომ მიეცემოდათ ხმების მოყვარულებს მორიგი საბაბი?!

**— თან „ამერთან" ძველი ანგარიშებიც გქონდათ გასასწორებელი...**

— პირველ წრეში ერთადერთ საშინაო შეხვედრაში დავმარცხდით — „ამერთან". როცა უგებ სხვა ძლიერ გუნდებს, მათ შორის „ვიტ ჯორჯიას", ბუნებრივად გიჩნდება იმედი, რომ სხვასთანაც იგივეს შეძლებ. მაშინ „ამერთან" მარცხმა სერიოზულად აგვირია გეგმები. საერთოდ, ამ გუნდთან ყოველთვის დაძაბული შეხვედრა გამოგვდის. თასის მეოთხედფინალის თბილისურ შეხვედრაშიც ბოლომდე ბრძოლა იყო, ჩვენმა მეკარემ პენალტიც მოიგერია და 0:0 ვითამაშეთ.

**— ზოგადადაც ვთქვათ: გარიგებული მატჩების შესახებ რას იტყვით?**

— რატომღაც ამბობენ, რომ „ბათუმი" აუცილებლად მისცემს სამ ქულას თბილისის „დინამოს". მე პირიქით შემიძლია ვამტკიცო — არავითარ შემთხვევაში „ბათუმი" არაფერს დათმობს. ჯერ ერთი, ოთარ გაბელიას გუნდი თავად გეგმავს ევროტურნირზე გასვლას. მეორეც, ამ გუნდს სოლიდური სპონსორიც ჰყავს, გამართული პოლიტიკაც აქვს და ვინმესთან გარიგებები არ სჭირდება. მაგრამ, ვთქვათ და, პატიოსან ბრძოლაში მართლაც გაიმარჯვა თბილისის „დინამომ". ვინ დაუმტკიცებს ბათუმელ ქომაგს, რომ მათმა გუნდმა თამაში არ დათმო?! ასე ხომ ყველაფერი წყალში იყრება — ინვესტიციაც, ამდენი შრომაც, სამომავლო გეგმებიც. ვიმეორებ, ამგვარი მიდგომა დაუშვებელია.

**— თექვსმეტგუნდიანი უმაღლესი ლიგის მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი არგუმენტი ასეთია: რამდენიმე გუნდი ცხრილის შუაში მშვიდად ყოფნას გაინაღდებს და მერე საშუალება აქვს, სხვებს „წააშველოს ხელი"...**

— დღევანდელ ვითარებაში „კოლხეთზე" ამას ვერავინ იტყვის. ყველაფერს გავიღებთ, რათა ხვალ „სოხუმთან" გავიმარჯვოთ. თავის მხრივ, არც სოხუმელები დაგვითმობენ იოლად რამეს. მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ „ტორპედო", „თბილისი", საკმაო ქულები დააგროვა „დილამაც". ჩვენი უპირატესობა მდევრებთან არც ისე დიდია, რომ თავი მშვიდად დავიგულოთ. ასეთ ვითარებაში რაიმეს დათმობა?! ეს ხომ ნამდვილი ჯოჯოხეთი იქნება, რომელშიც მხოლოდ მაზოხისტი თუ ჩაიგდებს თავს.

**— არადა, იყო დრო, „კოლხეთს" სულ სხვა მიზნები ჰქონდა. როდემდე გაგრძელდება ჩავარდნა?**

— წლეულს, ფაქტობრივად, ბიუჯეტი არ გვაქვს. მხოლოდ 400 ათასია გამოყოფილი და ჩემპიონატი ამით უნდა ჩავამთავროთ. ფეხბურთელებს საკონტრაქტო და სახელფასო დავალიანება რომ გავუსტუმროთ, დეფიციტი 150 ათას ლარამდე გვექნება. არადა, ორი წლის წინ, როცა პორტის გენერალური დირექტორი ჯემალ ინაიშვილი იყო, კლუბს მილიონ ორასი ათასიანი ბიუჯეტი ჰქონდა და ასი ათასით ქალაქის მთავრობაც ეხმარებოდა. მაშინ ბატონი ჯემალი ამბობდა, რომ უმაღლესი ლიგის გუნდისთვის მინიმუმ ხუთჯერ მეტია საჭირო და ამ თანხით მხოლოდ იმას ვახერხებთ, უმაღლეს ლიგაში ადგილს ვინარჩუნებთო. სამწუხაროდ, დღეს ეს თანხაც არ გაგვაჩნია. ინაიშვილის შემდეგ კლუბის პრეზიდენტი მიმინოშვილი გახდა. პიროვნულად მის მიმართ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მაშინ „კოლხეთის" ვიცე-პრეზიდენტად მისი ბიძა, გუნდის მწვრთნელად კი მისი მამიდაშვილი მუშაობდა. გუნდს თანხები ერიცხებოდა, მაგრამ მათი ხარჯვის მიზნობრიობა გასარკვევია. დღეს რამდენიმე ფეხბურთელი „კოლხეთს" მაშინდელ დავალიანებას ედავება. ვეუბნები, რომ წლევანდელი ბიუჯეტი მიზნობრივია და იქიდან ლარიც არ შემიძლია ძველ დავალიანებას მოვახმარო. თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავს ყველა ფეხბურთელს: თუ „კოლხეთიდან" ვინმეს რამე ერგება, მოვიდეს და დააფიქსიროს. ლიცენზირების პროცესში პირველი სამი კრიტერიუმი უპრობლემოდ გავიარეთ, მაგრამ ფინანსურ კრიტერიუმზე რომ მიდგა საქმე, უარი გვითხრეს, რადგან ფეხბურთელთა ვალი გვაქვს. თუკი ამ დავალიანების გამო უმაღლეს ლიგაში არ დაგვიშვებენ, სამართალდამცავთა გასარკვევი იქნება, ვინ უნდა გადაიხადოს ეს ვალი: ჩვენ, ძველმა ხელმძღვანელობამ თუ მომავალმა ინვესტორმა.

**— მომავალი ინვესტორი ახსენეთ. როგორ არის ამ მხრივ საქმე?**

— თურქულ ფირმა „გუნაისთან" სერიოზული მოლაპარაკებები მიმდინარეობს, რომლებიც თავის დროზე არა ადგილობრივი, არამედ ცენტრალური ხელისუფლების მიერ შეფერხდა. ვიცნობ მათ საინვესტიციო პროგრამასაც. ჩემი საბოლოო მიზანი კლუბში სერიოზული ინვესტორის მოყვანაა. სამწლიანი გეგმა გვაქვს შემუშავებული. გვინდა ადგილობრივ, ფოთში და სამეგრელოს რეგიონში აღზრდილ კადრებს დავეყრდნოთ. პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, „კოლხეთი" ისევ დაუბრუნდება საპრიზო ადგილისა და თასისთვის მებრძოლთა რიგებს. საუბარი იმით დავიწყეთ, რომ უსაფუძვლო ხმები ქართულ ფეხბურთს დიდ ზიანს აყენებს. თუკი მომავალი ინვესტორი გაიგებს, რომ გუნდი, რომელშიც ფულის ჩადებას აპირებს, თამაშებს ყიდის, მასთან თანამშრომლობას გააგრძელებს?!

**გიორგი ნოზაძე**



# კუდიანი არაფერი მითქვამს

*„ვიტ ჯორჯიასა" და „ამერს" შორის ორი ტურის წინ გამართულ შეხვედრაში „ყვითლების" რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა ვერ მიიღო მონაწილეობა. ამ ფაქტს არასასურველი ინტერპრეტაცია მიეცა — ამერელებმა ვეტერინარებს სამი ქულა დაუთმესო. ხმებს საფუძვლად „სიონის" გენერალური მენეჯერის ჯემალ ჭიპაშვილის კომენტარი დაედო, არადა, როგორც თავად გვითხრა, მის სიტყვებში არავითარი ქვეტექსტი არ ყოფილა...*

**— „ამერთან" პირველი ნახევარფინალური მატჩის წინ გაკეთებულმა თქვენმა კომენტარმა არაჯანსაღი მითქმა-მოთქმა გამოიწვია...**

— იმ კომენტარში მხოლოდ ის ვიგულისხმე, რომ „ამერმა" „ვიტ ჯორჯიასთან" შეხვედრაში რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა და ამით „სიონთან" სათასო მატჩის წინ ძალები შემოინახა. ამაში კრიმინალური არაფერია და სატურნირო სტრატეგიიდან გამომდინარე, მწვრთნელის გადაწყვეტილებაც სრულიად გასაგებია. კარგად ვიცნობ „ამერის" ხელმძღვანელობას, დიდ პატივსაც ვცემ და მათ წესიერებას წამითაც არ დავაყენებ ეჭვქვეშ.

**— ზოგადად, მიმდინარე ჩემპიონატისთვის რამდენად აქტუალურია გარიგებული თამაშების თემა?**

— ვფიქრობ, ეს თემა ზედმეტად გაზვიადებულია და მიმდინარე ჩემპიონატში არაფერი ისეთი არ ხდება, რაც წინა ჩემპიონატებში არ ხდებოდა. რაც უნდა იყოს, ყველაფერზე საბოლოო პასუხს გათამაშების ცხრილი იძლევა.

**გიორგი ნოზაძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე წრე

25 ტური ანონსი

# გამოცანა გერგებათ, ანუ ჩამოფასებული ქართული კლასიკო

## გაჯიქდება თუ გავიტდება ცხინვალი?

ტურის მიმოხილვა, ტურის ანონსი, ისევ ეს და ისევ ის... ყოველ სამ-ოთხ დღეში ტრიალებს კარუსელი — რა ვქნათ, ასეთი გადატვირთულია კალენდარი და დღესაც 25-ე ტურის რვავე მატჩია. ისე მოხდა, რომ შედარებით იოლად პროგნოზირებადი თამაშები დაემთხვა, ხოლო ჩვენ მთავარი ჯახით დავიწყოთ...



დრო იყო, „დინამო“ — „ტორპედო“ საქართველოს ჩემპიონატში ყველა თამაშს ჩრდილავდა

ასეთი „ბორჯომი“ — „ამერი“ ჩანს. ბოლო მატჩებს თუ გადავხედავთ, შედარებაც არაა, კურორტელები გაცილებით კარგ შედეგს აჩვენებენ, არგენტინელი გონსალო დე პორასი ფორმაშია და გოლი გოლზე გააქვს. ვლადიმერ ხაჩიძის გუნდმა წინა ტურში სწორედ მარადონას თანამემამულის გატანილით მოუგო „ვიტ ჯორჯიას“. ვიტელებთან ჯახს „ბორჯომის“ სტადიონზე 5000 გულშემატკივარი დაესწრო და წესით, დღესაც გადავსებული უნდა იყოს ტრიბუნები. მასპინძლებს სერიოზული ძალა დაუბრუნდათ რევაზ გეწაძის სახით, რომელმაც წინა შეხვედრა 21-წლამდელთა ნაკრებში თამაშის გამო გამოტოვა.

„ამერი“? გიორგი ჩიხრაძის სამწყსომ ძლივს გატეხა საჩემპიონატო სამმატჩიანი მარცხიანი სერია და „კოლხეთს“ რატი წინამძღვრიშვილის გვიანი გოლით მოუგო. ფავორიტობაზე ლაპარაკი ზედმეტი გვგონია — კი, მასპინძლის ფაქტორი ცოტას არ ნიშნავს, მაგრამ „ამერი“ ტრადიციულად სჯაბნის „ბორჯომს“: აქამდე სამჯერ შეხვედრია (პირველი ლიგის ჩათვლით) და სამჯერვე დაუმარცხებია. ერთიცაა, გლდანელებმა კურორტზე თუ წააგეს, ჩემპიონატიდან ევროთასებზე გასვლის შანსს, ალბათ, საბოლოოდ გადაიწურავენ და თასილა დარჩებათ იმედად...

არცთუ იოლი გასეირნება ელის „სიონს“, რომელიც გორში „ცხინვალს“ ჩააკითხავს. მოდით, ნურც „დინამოსთან“ მოგების შემდეგ გადალლას და ნურც სამაჩაბლოელთა კერკეტობას გამოვრიცხავთ — „ცხინვალს“ ნაღდად შეუძლია „ვიტ ჯორჯიასთვის“ საჩუქრის მირთმევა, ოღონდ ეგაა, მათმა თავკაცმა ივანე თაყაძემ სწორედ ვიტელებთან. ამასწინანდელი წაგების მერე თქვა, ჩვენ ლიდერებთან მატჩებში ქულების აღებაზე არ ვაკეთებთ აქცენტს, მთავარია, კონკურენტებს მოვერიოთო. ვინ იცის, დღესაც იგივე გამეორდეს, რაც „სიონს“ საქმეს შეუმსუბუქებს. არც ისაა გამორიცხული, თავად ბოლნისელებმა შეინახონ თავი — 4 დღეში ხომ შინ ჩემპიონატის უმთავრესი თამაში ელით „ვიტ ჯორჯიასთან“...

„ზესტაფონი“ მეორე წრეში დაჩაჩანაკებულ „ლოკომოტივს“ მიიღებს და ალბათ ცალი ფეხით მოიგებს. ზუსტად იგივე სცენარს გვპირდება მცხეთური „ვიტ ჯორჯია“ — „სპარტაკიც“.

ცოტა ძნელად ექნება საქმე „ბათუმს“, რომელიც თელავში ჩადის. საქმე ისაა, რომ „კახეთი“ გასავარდნი ზონიდან ცხრა მთას იქით სულაც არაა, ქულები სჭირდება და „გივი ჩოხელზე“ იოლად არავის დანებდება. სხვა საქმეა, რომ ზღვისპირელები ექსპრესივით მიჰქრიან, სულ არაფრიდან სამეულის შანსი გაუჩნდათ და გუნდი გუნდად მართლაც რომ კარგი ჰყავთ...

ცხრილის ფსკერიდან ამოდის „თბილისი“, 14-ქულიან ნიშნულს უწია და ვინძლო, დღესვე გადავიდეს იმ ადგილზე, საიდანაც პირდაპირ კი არ ვარდება, პირველლიგელთან გადათამაშება ელის. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ „თბილისი“ „დილას“ მოუგებს, „სოხუმი“ კი „კოლხეთთან“ დაკარგავს ქულებს. მოკლედ, ორივე თამაში ისეთია, ფავორიტი რომ არ ჰყავს...

და ერთიც, რა პირით ვთქვათ „ქართული კლასიკო“... არადა, არცთუ შორეულ წარსულში „დინამო“ — „ტორპედოს“ ჯახს ასე ვეძახდით. დღეს ერთიც და მეორეც ღრმა კრიზისშია, ანდრეი ჩერნიშოვის გუნდმა მეორე წრეში ვერც ერთი პრინციპული თამაში ვერ მოიგო და არ გაგვიკვირდება, დღესაც რომ გაფანტოს ქულები — მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისურები მე-13 ადგილზე არიან.

ასეთ დროს, ჩემპიონატის ფინიშისას „დინამო“ მეექვსე ადგილზე არასოდეს ყოფილა და არც „ტორპედო“ მდგარა გავარდნის ზღვარზე. ჩერნიშოვი კი ალბათ ტაქტიკას შეცვლის და ბოლნისური მატჩის მსგავსად, ერთი ფორვარდით არ ითამაშებს. ამ ფანდმა რუს მწვრთნელს რაც არგო, აგერ, ცხრილში წერია...

**ილია ნანობაშვილი**

ბორჯომი. 15 აპრილი. 16 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი

### ბორჯომი — ამერი

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ზ. მენთეშაშვილი, ო. მოლოდინაშვილი; მ. ბეუქლიშვილი; დამკვირვებელი: ტ. ნიშნიანიძე

თბილისი. 15 აპრილი. 16 საათი. ოლიმპი

### თბილისი — დილა

მსაჯები: ა. ორდინიძე; კ. ტეფნაძე, შ. ქუხილავა; დ. სანაია; დამკვირვებელი: ა. დურსუნიში

თელავი. 15 აპრილი. 16 საათი. გივი ჩოხელი

### კახეთი — ბათუმი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; კ. გუდურაშვილი, ა. კოკაია; დ. ხარიტონაშვილი; დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე

თბილისი. 15 აპრილი. 16 საათი. შევარდენი

### სოხუმი — კოლხეთი

მსაჯები: მ. მაისურაძე; ზ. ასკაროლლი, ზ. ბერულავა; ლ. სალაგავა; დამკვირვებელი: ო. რუხაძე

მცხეთა. 15 აპრილი. 16 საათი. არმაზი

### ვიტ ჯორჯია — სპარტაკი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ლ. მიქელაძე, გ. ყრუაშვილი; ბ. ჭიჭინაძე; დამკვირვებელი: ბ. მჭედლიშვილი

თბილისი. 15 აპრილი. 16 საათი. მიხეილ მესხი

### დინამო — ტორპედო

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი; მ. ელიკაშვილი, ზ. გურგენიძე; ხ. გაგნიძე; დამკვირვებელი: ვ. ეჯიბია

გორი. 15 აპრილი. 16 საათი. ქართლი

### ცხინვალი — სიონი

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; ვ. გუმბერიძე, დ. სანოძე; პ. დოგრაშვილი; დამკვირვებელი: რ. ტალიაშვილი

ზესტაფონი. 15 აპრილი. 16 საათი. ცენტრალური

### ზესტაფონი — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი; გ. დოგრაშვილი, კ. ბერაძე; კ. ჭაჭუა; დამკვირვებელი: დ. მენთეშაშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 24 | 18 | 4 | 2 | 42:15 | 58 |
| ვიტ ჯორჯია | 24 | 17 | 4 | 3 | 46:14 | 55 |
| ზესტაფონი | 24 | 14 | 6 | 4 | 34:19 | 48 |
| ბორჯომი | 24 | 15 | 2 | 7 | 41:20 | 47 |
| ბათუმი | 24 | 14 | 5 | 5 | 34:16 | 47 |
| დინამო | 24 | 14 | 4 | 6 | 39:18 | 46 |
| ამერი | 24 | 14 | 2 | 8 | 29:18 | 44 |
| ლოკომოტივი | 24 | 10 | 4 | 10 | 36:35 | 34 |
| კოლხეთი | 24 | 8 | 4 | 12 | 20:25 | 28 |
| კახეთი | 24 | 8 | 2 | 14 | 26:37 | 26 |
| დილა | 24 | 7 | 4 | 13 | 28:34 | 25 |
| ცხინვალი | 24 | 7 | 3 | 14 | 23:44 | 24 |
| ტორპედო | 24 | 6 | 6 | 12 | 21:31 | 24 |
| სოხუმი | 24 | 4 | 3 | 17 | 22:54 | 15 |
| თბილისი | 24 | 4 | 2 | 18 | 18:42 | 14 |
| სპარტაკი | 24 | 2 | 5 | 17 | 6:43 | 11 |

# ღვთაებრივი კომედია კალაძისგან






კახა კალაძემ და არჩევნებწაგებულმა სილვიო ბერლუსკონიმ „მადონინა“ მოიგეს

**მილანი 1:0 ინტერი**
1:0 კალაძე (70)
მილანი: დიდა, კაფუ (კოსტაკურტა 72), ნესტა, კალაძე, მალდინი, გატუზო, პირლო (ფოგელი 79), ზეედორფი, კაკა, შევჩენკო (რუი კოშტა 81), ჯილარდინო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ინტერი: ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, კორდობა, მიხაილოვიჩი (მატერაცი 10), ბურდისო, კ. ძანეტი (მარტინსი 76), კამბიასო, ფიგუ, დ. პიზარო (სოლარი 83), სტანკოვიჩი, ადრიანო
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: კაფუ, მატერაცი, კ. ძანეტი, პირლო, ჯილარდინო, ბურდისო, კორდობა, ზეედორფი
მსაჯი: დე სანტისი
75 000 მაყურებელი

**მეკარე** დიდას უხეში შეცდომების მიუხედავად „მილანმა“ „ინტერს“ მოუგო და, რაც ჩვენთვის ყველაზე მთავარია, მატჩის ერთადერთი გოლი კახა კალაძემ გაიტანა. აი, ასეთი გახლდათ „დერბი დელა მადონინა“, მატჩი, რომელსაც მნიშვნელოვანწილად უნდა გადაეწყვიტა სერია A-ს მეორე ადგილის ბედი — ბედის ბეჭედი კალაძემ დასვა.

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა გოლი ასე გაიტანა: „მილანმა“ ლონიერი შეტევით მეტოქის კარს რამდენიმე მხრიდან მოუარა და საბოლოოდ ხელთ იგდო მომენტი, როდესაც „ინტერის“ ცენტრალურ მცველებს კარის წინ „პირი დარჩათ ღია“, ბურთი კი კალაძეს მიუგორდა და მანაც მარცხენა ფეხით მიზანში აულებელი გაუშვა.

შეგახსენებთ, რომ ამ შეხვედრას, გარდა ტრადიციული და ცხრილით განპირობებული დაძაბულობისა, ისიც ემატებოდა, რომ ის იყო პირველი მატჩი მას მერე, რაც „ინტერის“ ფანებმა საკუთარ ფეხბურთელებზე აეროპორტში თავდასხმა მოაწყეს. გეხსომებათ, რომ იმ თავდასხმისას ყველაზე მეტად თავშიქვახლილი კრისტიანო ძანეტი დაზარალდა, მაგრამ ფეხბურთელს ტკივილი, როგორც ჩანს, მალე დაუამდა, რადგან დერბიში კაკას მეურვედ მოგვევლინა.

კიდევ, მატჩი პარასკევს, საღამოს 6 საათზე იმიტომ ჩაატარეს, რომ „მილანს“ რამდენიმე დღეში ჩემპიონთა ლიგაში „ბარსელონასთან“ აქვს სათამაშო, თანაც სერია A-ს შეფებმა, თამაშის ადრე დაწყებით უსაფრთხოებაზეც იზრუნეს. ცნობისთვის: ბოლოს მილანური დერბი პარასკევს იმ დღეს გაიმართა, შავ-წითლებმა შავ-ლურჯებს 6:0 რომ მოუგეს.

გუშინ „სან-სიროს“ ტრიბუნებმა თავიანთი გუნდისადმი პროტესტი იმით გამოხატეს, რომ ცნობილი ჩრდილოეთ ტრიბუნა ცარიელი დატოვეს, „მილანის“ ფანებმა კი დიდი პლაკატი გამოფინეს, რომელზეც დაწერეს უკვდავი ნაწარმოების სათაური ქვერა: „ღვთაებრივი კომედია“. ამით მათ „ინტერის“ დაუსრულებელ წარუმატებლობებს გაუსვეს ხაზი.

უნდა აღინიშნოს, რომ იტალიური პრესა მილანელთაგან ცხარე თავდამსხმელით თამაშს ელოდა და ამ თემას თამაშის წინა დღეებში გვარიანადაც ატრიალებდა, მაგრამ კარლო ანჩელოტიმ, რომელიც, ცხადია, მეტოქისგან ნახევარდაცვის საგანგებო დატვირთვას ელოდა, სხვანაირად განსაჯა და ავანგარდში შევჩენკო-ჯილარდინოს დუეტი გაუშვა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსაჯს, მასიმო დე სანტისს ორივე მიმართულებით რვა ყვითელი ბარათის ამოღება დასჭირდა. ბარათები გუნდებმა თანაბრად გაიყვეს.

მატჩის ზოგადი სურათის შესახებ კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენისთვის დავამატებთ, რომ პირველი ტაიმი, განსაკუთრებით მისი ბოლო მონაკვეთი, „მილანის“ ზეწოლით გახლდათ დასამახსოვრებელი და ასეთი თამაშის ფონზე მეორე ნახევრის დასაწყისი ცოტა მოულოდნელიც გამოჩნდა — „მილანის“ ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა შემცირებული ჩანდა, მაგრამ წონასწორობა მაყწითელთათვის საგანგაშოდ მაინც არ დარღვეულა, ხოლო კალაძემ...

**პაპუნა ძიძია**

**სერია A-ს** ლიდერი „იუვენტუსი“ „კალიარიში“ თამაშობს და ყველა ღონეს იხმარს, რათა თავის 29-ე სკუდეტოს ცალი ხელი მაინც მყარად ჩასჭიდოს.

მოგეხსენებათ, „იუვე“ ბოლო ხანს ცუდ ფორმაშია, რის გამოც ჩემპიონთა ლიგიდანაც გავარდა და სერია A-შიც უპირატესობა, რომლის გამოც ლამის იყო, მარტის დასაწყისშივე ჩემპიონად შერაცხეს, ერთი კვირის წინ შვიდ ქულამდე შეუმცირდა. ჩემპიონატის ბოლო სამი მატჩი ტურინელებმა ფრედ ითამაშეს.

კალიარიში ფაბიო კაპელოს ფრანგების, დავიდ ტრეზეგესა და ლილიან ტურამის გარეშე მოუწევს თამაში. ტრეზეგე „იუვეს“ საუკეთესო ბომბარდირია, რომლის ადგილსაც მოედანზე ალესანდრო დელ პიერო დაიკავებს. სამაგიეროდ, კოჭი მოირჩინა ჯიჯი ბუფონმა და ტურინელთა კარს ის დაიცავს.

„ფიორენტინასა“ და „რომას“ შორის დაძაბული ბრძოლაა მეოთხე ადგილისთვის.

## იტალია

# ტრევიზო თავმოყვარეა?

## ტონიმ იებს ტონი უნდა მისცეს

ფლორენციელები ტრევიზოში ჩადიან, „ტრევიზო“ კი უკვე გავარდნილია და თავმოყვარეობის გარდა არაფერი აგულიანებს იებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. რამდენად მნიშვნელოვანია ამ გუნდისთვის თავმოყვარეობა და რამდენად შეუძლია ქულები აართვას ჩემპიონთა ლიგაზე დაგეშილ „ფიორენტინას“, ამას ხვალ ვნახავთ. ხვალვე ვნახავთ, რას იზამს ფლორენციელთა თავდამსხმელი ლუკა ტონი, რომელმაც წინა ტურში კლუბის რეკორდი დაამყარა — აქამდე ერთ სეზონში 26 გოლი მხოლოდ გაბრიელ ბატისტუტასა და კურტ ჰამრინს გაეტანათ, ტონიმ კი „იუვენტუსის“ კარში გოლის შეგდებით ფლორენციული ფეხბურთის ისტორიაში ახალი თავი ჩაწერა და ამ თავს ჯერჯერობით 27 ჰქვია.

„რომა“ კი პალერმოშია, სიცილიაზე და იებზე გაცილებით რთულ ამოცანას ეჭიდება — უნდა მოუგოს გუნდს, რომელსაც ქულები უეფას თასზე გასასვლელად სჭირდება.

და მაინც, „რომა“ ის გუნდია, რომელმაც ბოლო ოთხ თვეში მარტო ერთი თამაში წააგო... რომაელებს, მართალია, ტრავმები უქმნის დაბრკოლებას, სხვას ყველაფერს თავი, რომ დავანებოთ, აგერ, უკვე რა ხანია, ფრანჩესკო ტოტის გარეშე არიან, მაგრამ ბრაზილიელები როდრიგო ტადეი და ამანტინო მანსინი თავდასხმაში საუცხოოდ თამაშობენ.

დისკვალიფიცირებულია „კალიარის“ მეკარე ალექსანდერ დონი.

**პაპუნა ძიძია**

| XXXIV ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| რეჯინა | : | ასკოლი |
| ტრევიზო | : | ფიორენტინა |
| კალიარი | : | იუვენტუსი |
| ლაციო | : | ლივორნო |
| კიევო | : | მესინა |
| სამპდორია | : | პარმა |
| პალერმო | : | რომა |
| ემპოლი | : | სიენა |
| ლეჩე | : | უდინეზე |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იუვენტუსი | | 0:0 | 2:0 | 1:1 | 1:1 | | 1:0 | | 3:0 | 1:1 | 2:0 | 2:1 | 2:0 | 2:1 | 1:0 | 1:0 | 4:0 | 1:0 | 3:1 | 3:1 | 33 | 24 | 8 | 1 | 62:21 | 80 | 13 | 4 | 0 | 30:7 | 43 | 11 | 4 | 1 | 32:14 | 37 |
| 2 | მილანი | 3:1 | | 1:0 | | 3:1 | 2:0 | 4:1 | 2:1 | | 4:3 | 1:1 | 1:0 | 3:1 | 3:0 | 5:1 | 2:1 | 1:0 | 4:0 | 2:1 | 5:0 | 34 | 24 | 4 | 6 | 75:27 | 76 | 16 | 1 | 0 | 46:12 | 49 | 8 | 3 | 6 | 29:15 | 27 |
| 3 | ინტერი | 1:2 | 3:2 | | 2:3 | 1:0 | 3:1 | 1:0 | 3:0 | 5:0 | 2:0 | 1:0 | 1:0 | | 4:1 | 3:1 | | 3:2 | 3:0 | 3:0 | 3:0 | 34 | 22 | 5 | 7 | 61:26 | 71 | 15 | 0 | 2 | 42:12 | 45 | 7 | 5 | 5 | 19:14 | 26 |
| 4 | რომა | 1:4 | 1:0 | 1:1 | | 1:1 | 1:1 | 4:0 | 1:2 | 3:0 | 4:1 | | 2:1 | 2:3 | 1:0 | 0:1 | 3:1 | 4:3 | 2:1 | 3:1 | | 33 | 18 | 9 | 6 | 61:33 | 63 | 10 | 3 | 4 | 34:21 | 33 | 8 | 6 | 2 | 27:12 | 30 |
| 5 | ფიორენტინა | 1:2 | 3:1 | 2:1 | 1:1 | | 1:2 | 2:1 | 1:0 | 3:2 | 4:1 | 2:1 | 3:1 | 2:1 | | 4:2 | | 2:1 | 2:0 | 1:0 | 1:0 | 33 | 18 | 8 | 7 | 54:36 | 62 | 14 | 1 | 2 | 35:17 | 43 | 4 | 7 | 5 | 19:19 | 19 |
| 6 | ლაციო | 1:1 | 0:0 | 0:0 | 0:2 | 1:0 | | 2:2 | 4:2 | | | 2:0 | 4:1 | 3:2 | 3:3 | 1:1 | 2:1 | 1:1 | 1:0 | | 3:1 | 33 | 12 | 13 | 8 | 46:44 | 49 | 8 | 7 | 1 | 28:17 | 31 | 4 | 6 | 7 | 18:27 | 18 |
| 7 | კიევო | 1:1 | 2:1 | 0:1 | | | 2:2 | | 0:0 | 2:1 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 4:1 | 2:2 | 2:0 | 4:0 | 2:1 | | 3:1 | 0:0 | 33 | 12 | 12 | 9 | 47:42 | 48 | 8 | 7 | 1 | 27:13 | 31 | 4 | 5 | 8 | 20:29 | 17 |
| 8 | პალერმო | 1:2 | 0:2 | 3:2 | | | 3:1 | 2:2 | | 0:2 | 4:2 | 0:2 | 1:1 | 1:3 | 2:2 | 2:0 | 1:0 | 2:2 | | 3:0 | 1:0 | 33 | 11 | 12 | 10 | 43:44 | 45 | 7 | 4 | 5 | 26:23 | 25 | 4 | 8 | 5 | 17:21 | 20 |
| 9 | ლივორნო | 1:3 | 0:3 | 0:0 | 0:0 | 2:0 | 2:1 | 0:0 | | | 2:0 | | 2:0 | 2:2 | 2:0 | 0:2 | 1:0 | 0:1 | 2:2 | 2:1 | 1:1 | 33 | 11 | 11 | 11 | 33:38 | 44 | 7 | 6 | 4 | 19:16 | 27 | 4 | 5 | 7 | 14:22 | 17 |
| 10 | პარმა | 1:2 | | 1:0 | 0:3 | 2:4 | 1:1 | 2:1 | 1:1 | 2:1 | | 1:1 | 0:0 | | 1:0 | 1:2 | 4:0 | 1:0 | 1:1 | 2:0 | 1:1 | 33 | 11 | 8 | 14 | 40:51 | 41 | 7 | 6 | 4 | 22:18 | 27 | 4 | 2 | 10 | 18:33 | 14 |
| 11 | სამპდორია | 0:1 | 2:1 | 2:2 | 1:1 | 3:1 | 2:0 | 1:2 | 0:2 | 0:2 | | | 1:2 | 3:3 | 2:0 | | 3:2 | 1:1 | 4:2 | | 1:1 | 33 | 10 | 8 | 15 | 44:45 | 38 | 6 | 5 | 5 | 26:23 | 23 | 4 | 3 | 10 | 18:22 | 15 |
| 12 | ასკოლი | 1:3 | 1:1 | 1:2 | 3:2 | 0:2 | | 2:2 | 1:1 | 0:0 | 3:1 | 2:1 | | 1:1 | 3:1 | 1:1 | 1:1 | | 1:0 | 2:0 | 1:0 | 33 | 8 | 14 | 11 | 36:42 | 38 | 7 | 7 | 3 | 24:19 | 28 | 1 | 7 | 8 | 12:23 | 10 |
| 13 | სიენა | | 0:3 | 0:0 | 0:2 | 0:2 | 2:3 | 0:1 | 1:2 | | 2:2 | 1:0 | 1:1 | | 1:0 | 2:3 | 0:0 | 2:1 | 4:2 | 1:2 | 1:0 | 33 | 9 | 9 | 15 | 39:53 | 36 | 5 | 4 | 8 | 18:24 | 19 | 4 | 5 | 7 | 21:29 | 17 |
| 14 | ემპოლი | 0:4 | 1:3 | | 1:0 | 1:1 | 2:3 | 2:1 | 0:1 | 2:1 | 1:2 | 2:1 | | | | 1:1 | 3:0 | 3:1 | 1:3 | 1:0 | 1:1 | 33 | 10 | 6 | 17 | 39:56 | 36 | 7 | 3 | 6 | 22:23 | 24 | 3 | 3 | 11 | 17:33 | 12 |
| 15 | უდინეზე | 0:1 | 0:4 | 0:1 | 1:4 | 0:0 | 3:0 | | 0:0 | 0:2 | 2:0 | 2:0 | 1:1 | 1:2 | 1:0 | | 1:2 | | 1:0 | 1:2 | 2:2 | 33 | 9 | 8 | 16 | 33:49 | 35 | 5 | 4 | 8 | 16:21 | 19 | 4 | 4 | 8 | 17:28 | 16 |
| 16 | რეჯინა | | 1:4 | 0:4 | 0:3 | 1:1 | 1:0 | 1:3 | 2:2 | 1:1 | 2:1 | 2:1 | | 1:1 | 0:2 | 2:0 | | 3:1 | | 2:0 | 1:2 | 33 | 9 | 8 | 16 | 32:53 | 35 | 6 | 4 | 6 | 20:26 | 22 | 3 | 4 | 10 | 12:27 | 13 |
| 17 | კალიარი | | 0:2 | | 0:0 | 0:0 | 1:1 | 2:2 | 1:1 | 1:1 | | 2:0 | 2:1 | 1:0 | 4:1 | 2:1 | 0:2 | | 1:1 | 0:0 | 0:0 | 33 | 7 | 12 | 14 | 34:47 | 33 | 5 | 9 | 2 | 17:13 | 24 | 2 | 3 | 12 | 17:34 | 9 |
| 18 | მესინა | 2:2 | | 1:2 | 0:2 | 2:2 | 1:1 | 2:0 | 0:0 | 0:0 | 0:1 | 1:4 | 1:1 | 0:0 | | 1:1 | 1:1 | 1:0 | | 2:1 | 3:1 | 33 | 6 | 13 | 14 | 32:47 | 31 | 4 | 9 | 4 | 18:19 | 21 | 2 | 4 | 10 | 14:28 | 10 |
| 19 | ლეჩე | 0:3 | 1:0 | 0:2 | 2:2 | 1:3 | 0:0 | | 2:0 | 0:0 | 1:2 | 0:3 | 0:0 | 3:0 | 1:2 | | 0:0 | 3:0 | 0:2 | | | 33 | 6 | 6 | 21 | 25:52 | 24 | 4 | 5 | 7 | 14:19 | 17 | 2 | 1 | 14 | 11:33 | 7 |
| 20 | ტრევიზო | 0:0 | 0:2 | 0:1 | 0:1 | | 0:1 | 1:2 | 2:2 | 0:1 | 0:1 | 0:2 | | 0:1 | 1:2 | | 0:1 | 1:2 | 0:0 | 2:1 | | 33 | 2 | 10 | 21 | 18:48 | 16 | 1 | 3 | 12 | 7:20 | 6 | 1 | 7 | 9 | 11:28 | 10 |

# მსოფლიოს ჩემპიონი სალომონი



**კოტდივუარელი** სალომონ კალუ რომ ჰოლანდიელობას ცდილობს, მაგრამ ნებას არ რთავენ, „სარბიელის" მკითხველისთვის ცნობილი ამბავია. ჰოლანდიის ნაკრების წვრთნელს მარკო ვან ბასტენს ნათქვამი აქვს, რომ თუ ნიდერლანდის სამეფოს საემიგრაციო საქმეთა სამინისტრო ფეხბურთელს ქვეყნის მოქალაქეობას მიანიჭებს, მას მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთა შორის ადგილი გარანტირებული ექნება, მაგრამ, ვაგლახ, მინისტრი რიტა ვერდონკი უარზეა. ქალბატონი ბიუროკრატის აზრით, კალუმ პასპორტის მისაღებად საკმარისი არც ჰოლანდიური იცის და არც ქვეყნის კულტურას იცნობს.

სამაგიეროდ, კალუს სარეკლამო კლიპებში მონაწილეობას ვერ აუკრძალავს ვერავინ და თან, კლიპიც არის და კლიპიც — სადაზღვევო კომპანიის „ახმეას" სატელევიზიო რეკლამაში კალუ გერმანიის ნაკრების ფეხბურთელია, ჰოლანდიელებს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ხვდება და უგებს, ხოლო გერმანელების კაპიტანი ოლივერ კანი შინ ტელევიზორთან მიმჯდარ მინისტრ ვერდონკს მადლობას უხდის, რომ ამ ფეხბურთელს ქვეყნის მოქალაქეობა არ მისცა.

როგორც მოსალოდნელი იყო, კლიპის ტელევიზიით გაშვებამ ჰოლანდიის ხელისუფალთა ბრაზი გამოიწვია და სადაზღვევო კომპანიას მისი გაუქმება მოსთხოვეს. კლიპი ჰააგის სასამართლომაც დაიწუნა და გადაწყვიტა, სარეკლამო კომპანიისთვის მისი ტელევიზიით გაშვება აეკრძალა, ხოლო ყოველი დარღვევისთვის 50 ათასი ევრო დაეკისრებინა.

„ეს რეკლამა მსუბუქი იუმორითაა შეზავებული და როგორ შეიძლება ვინმესთვის რამეში ხელი შეეშალა? — გაიკვირვეს „ახმეას" ხელმძღვანელებმა.

და კიდევ, გაირკვა ერთი საინტერესო დეტალიც: თურმე კალუსთვის სხვა სადაზღვევო კომპანიას, „ფორტისს" იმთავითვე ურჩევია, მაგ კლიპში ნუ ითამაშებო...

**პაპუნა ქედია**

# ბებერმა იტალია შემოიარა



**ტურინის** „იუვენტუსის" შემადგენლობის გაძლიერებაზე ფიქრობს. აპენინური მედიის ცნობით, ლუჩანო მოჯის სიაში მოწინავე ადგილები ორ მცველს — მანუელ პასკუალისა და ანდრეა ბარძალის — უჭირავს. ამ ტრანსფერებზე მუშაობა უკვე დაწყებულია.

პასკუალი „ფიორენტინას" მარცხენა მცველია და სეზონს მშვენივრად ატარებს, თუმცა იგი სანახევროდ „არეცოს" საკუთრებაა და „იუვე" სწორედ ამ ნახევრის ყიდვას აპირებს. მერე კი შეეცდება, ფეხბურთელი ფლორენციელებისგან ბოლომდე გამოისყიდოს. ხოლო სანაცვლოდ ალბათ მანუელე ბლაზის ან ჯორჯო კიელინის შესთავაზებს.

რაც შეეხება ბარძალის, იგი სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველია და ნელ-ნელა „სკუადრა აძურაშიც" მკვიდრდება. მართალია, „პალერმოს" პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ აღნიშნა, წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვას არ ვაპირებო, მაგრამ ტრანსფერების მოკვარახჭინებით განთქმულ „იუვენტუსთან" ჭიდილი გაუჭირდება. ტურინელებს ბარძალის სანაცვლოდ ამჟამად „ბენფიკაში" მყოფი ფაბრიციო მიკოლის გამეტება განუზრახავთ და თუ საქმე გაჭირდა, შესაძლოა, „სიენაში" განათხოვრებული ნიკოლა ლეგროტალიეც დაამატონ.

გარდა ამისა, „ბებერი ქალბატონი" „პალერმოს" კიდევ ორი ფეხბურთელით, კრისტიან ძაკარდოთი და სიმონე ბარონეთი ყოფილა დაინტერესებული. აქვე გავიხსენოთ, რომ „იუვემ" იმ სეზონისთვის უკვე დაიბევა მარკო მარკიონი და ალბათ „დელე ალპის" მიაშურებს „ინტერის" ცენტრალური ნახევარმცველი კრისტიანო ძანეტიც, რომელსაც ზაფხულში მილანელებთან კონტრაქტი ეწურება.

**გიორგი ძაძაბაძე**

# საზანგეთს ერთი ზანგიღა აკლდაო



**წარსულში** უდიდესმა ფრანგმა ფეხბურთელმა, ბოლო წლებში კი „მონაკოსა" და „ფულემის" მწვრთნელობით ცნობილმა ჟან ტიგანამ „ფრანს ფუტბოლთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ ორი წლის წინ მისი საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელად არდანიშვნა სხვა მიზეზებთან ერთად რასიზმის ბრალიც იყო.

„გადაწყვეტილების მიღებამდე რამდენიმე დღით ადრევე ვიცოდი, რომ ჩემი თანამდებობაზე დანიშვნა გამორიცხული იყო — ამბობს ტიგანა გუშინ გამოქვეყნებულ ინტერვიუში — ეს ერთი გავლენიანი ადამიანისგან ვიცი, რომელსაც საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა კლოდ სიმონემ უთხრა, ჩვენს ფეხბურთში ისედაც ბევრი ზანგია და მათთვის ზანგი მწვრთნელის დანიშვნა ახალა არაფრით შეიძლებაო. მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურად დარწმუნებული გახლავართ, ბატონი სიმონე რასისტი რომ არ არის, ეს საშინელი ნათქვამია".

ამ ამბავზე საკუთრივ სიმონეს ნერვული რეაქცია ჰქონდა. მან განაცხადა, რომ „ისინი მის ჩაძირვას ცდილობენ".

და ისევ ტიგანა, ოღონდ უკვე მეორე მიზეზით:

„მოკლედ, მე გზა საფრანგეთის მწვრთნელობისკენ კვალიფიკაციის ნაკლებობის გამო კი არ გადამიკეტეს, არამედ, როგორც გავიგე, იმიტომ, რომ მაშინ „ფულემის" მეპატრონესთან, მილიონერ მუჰამედ ალ ფაედთან მქონდა სასამართლო დავა. ისე კი, ოფიციალურად ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს".

**პაპუნა ქედია**

# ლონდონური დერბი ტორესის გამო



**დიდი** შანსია, მადრიდის „ატლეტიკოს" ვარსკვლავი ფერნანდო ტორესი, რომელსაც კარგა ხანია, ევროპული გრანდები უტრიალებენ, ლონდონში აღმოჩნდეს. ოღონდ საკითხავი ეს არის, „ტოტენჰემში" თუ „არსენალში"? „მამლებიც" და „მეთოფეებიც" ძალიან მონდომებულნი არიან, „ატლეტიკო" კი, ცხადია, იმ წინადადებას მიიღებს, რომელიც უფრო მომგებიანი იქნება. თუმცა გარკვეული მნიშვნელობა თავად „ელ ნინიოს" სიტყვასაც ექნება.

ხმებს თუ ვენდობით, „ტოტენჰემის" წარმომადგენლებმა უკვე შეძლეს მადრიდელებთან მოლაპარაკება და წინასწარი შეთანხმების მიღწევა, ასე რომ, 15 მილიონ გირვანქად შეფასებულმა ტორესმა მომავალი სეზონიდან „უაით ჰართ ლეინზე" უნდა ითამაშოს. თუმცა ეს ყველაფერი ჯერჯერობით მითქმა-მოთქმის დონეზეა.

„არსენალი" 22 წლის თავდამსხმელს თანაქალაქელს ასე იოლად არ დაუთმობს. არსენ ვენგერს დიდი ხანია, ტორესის ხელში ჩაგდება უნდა და ამის გაკეთებას ხოსე ანტონიო რეიესის დახმარებით აპირებს, რომელსაც „ელ ნინიოსთან" ერთად ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშია და მისი მეგობარია.

„ტორესი უკვე მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. როდესაც ვენგერმა მის შესახებ მკითხა, დაუფიქრებლად ვუთხარი, რომ იგი „არსენალს" ძალიან გამოადგება. თანაც ფერნანდოს გვერდით სიამოვნებით ვითამაშებდი. მას ინგლისურ ფეხბურთში ადაპტაციის პრობლემა არ ექნება და ძალიან გამიხარდება, თუ ჩვენთან გადმოსვლას გადაწყვეტს" — თქვა რეიესმა.

**კოკი კანდელაკი**

# რეალმა თვალი ხარის ჯანს დაადგა

**„რეალი"** დაცვის მარცხენა ფლანგზე რობერტო კარლოსის შემცვლელს ეძებს. მადრიდელთა თავკაცობა ფრანგული „ლიონის" ერიკ აბიდალის ძალამ და ტექნიკამ მოხიბლა, თუმცა ამ ტრანსფერს მცველის ფასი უშლის ხელს — „ლიონი" 18 მილიონ ევროს ითხოვს.

„რეალის" უფროსობას კი ამდენი მილიონის მიცემა ეძნელება — ლიონელი კლუბთან კონტრაქტს 2008-ში წყვეტს და საფრანგეთის ნაკრებშიც სულ ხუთჯერ უთამაშია.

აბიდალი თავიდან „მონაკოში" ბურთაობდა, იქიდან დიდიე დეშანთან უთანხმოების გამო წავიდა და „ლილს" მიაშურა, სადაც საფრანგეთის ყველაზე სტაბილურ მცველად დაასახელეს. „ლიონში" 2004 წელს მივიდა და ცენტრალური მცველისა და მარცხენაფლანგელის პოზიციებზე ერთნაირად წარმატებით ითამაშა. აბიდალის ფიზიკური ძალა და გამოცდილება (ვარაუდობენ, რომ მუნდიალზე ფრანგთა ნაკრების ძირითადში იქნება) არა მხოლოდ „რეალის" თავკაცთა ყურადღებას იქცევს.




სტაბილური მცველი საფრანგეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელ რაიმონ დომენეკსაც მოსწონს. ხარის ჯანის პატრონი მოედანზე სწრაფად გადაადგილდება და მაღალ ბურთებზე ბრძოლაში თითქმის ყოველთვის იმარჯვებს. აბიდალმა შარშან, ნოემბერში ტრავმა მიიღო, სამ თვეში გამოჯანმრთელდა და საუკეთესო ფორმაშია.

**ლადო ხომერიკი**


სარბიელი

სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# ტერი ქომაგებმა აღიარეს
## მაურინიუმ სამამდე დათვალა


ჯონ ტერი

**ჟოზე მაურინიუმ** თქვა, რომ „ჩელსი“ დიდ ცვლილებებს არ საჭიროებს, მაგრამ სამი მაღალი კლასის ფეხბურთელის შეძენას ვაპირებთო. პორტუგალიელს ყველა რგოლის თითო კაცით გაძლიერება უნდა. საკითხავია, რომელი მცველი და თავდამსხმელი მივა „სტემფორდ ბრიჯზე“, რადგანაც ახალი ნახევარმცველის ამბავი ფაქტობრივად გადაწყვეტილია — ეს მიხაელ ბალაკი იქნება.

„ჩვენ სამ ფეხბურთელს გამოვცვლით. მოთამაშეები, რომლებსაც პრეტენზიები აქვთ, აქ თავს კარგად ვერ გრძნობენ ან გუნდისთვის სარგებელი არ მოაქვთ, წავლენ. ეს ჩვეულებრივი პროცესია, დიდ ცვლილებებს არ ვგეგმავთ. კარგი გუნდი გვყავს და საკმაოდ ახალგაზრდულიც. ყველაზე უფროსი 33 წლის კლოდ მაკალელეა და ისიც ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურება. ერთი სიტყვით, ზაფხულში მცველს, ნახევარმცველს და თავდამსხმელს დავიმატებთ“ — თქვა მაურინიუმ.

ამასობაში, „ჩელსის“ ქომაგებს შორის გამოკითხვა დასრულდა, რომელსაც სეზონის საუკეთესო მოთამაშე უნდა გამოევლინა. გულშემატკივრების აზრით, ეს, ჯონ ტერია, რომელიც მეცხრე ფეხბურთელი გახდა, ვინც ეს ტიტული ორჯერ მოიპოვა. ჩელსელთა კაპიტანს ჯილდო კლუბის ძველმა ვარსკვლავმა ტერი ვენეიბლზმა გადასცა. ვთქვათ ისიც, რომ ტერი პირველად 2001 წელს აღიარეს, როდესაც თავისი სადებიუტო სეზონი ჩაატარა პროფესიულ დონეზე.

„ჯილდო ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. დიდი ხანია, „ჩელსიში“ ვარ და ეს სეზონი გუნდისთვის განსაკუთრებულია. ვფიქრობ, მთელი გუნდი იმსახურებს ამ აღიარებას და მით უფრო მიხარია, რომ ქომაგებმა მე ამირჩიეს“ — თქვა ტერიმ.

ლონდონელთა კაპიტანმა გამოკითხვაში უკან მოიტოვა ჯო კოული, ფრენკ ლამპარდი, კლოდ მაკელელე და უილიამ გალასი. საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ კი 21 წლის ნახევარმცველი ლასანა დიარა დაასახელეს.

უჯილდოოდ არ დარჩა კლოდ მაკელელე. მან გუნდის სპონსორის, „სამსუნგის“ მიერ დაწესებულ ახალ ნომინაციაში გაიმარჯვა. გამოკითხვა კლუბის ფეხბურთელებს, მწვრთნელებსა და ექიმებს შორის ჩატარდა, რათა „ჩელსის“ უძლიერესი მოთამაშე გამოევლინათ და გამოცდილ ფრანგ ნახევარმცველს „სამსუნგის“ ჯილდო ერგო.

კლოდ მაკელელე: „ძალიან ბედნიერი ვარ. პირველ სეზონში ადაპტაციისთვის გარკვეული პერიოდი დამჭირდა, მაგრამ ახლა შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენა შევძელი. დიდ მადლობას ვუხდი მხარდაჭერისთვის ჩემ ოჯახს, მეგობრებს და, რა თქმა უნდა, მთელ გუნდს“.

**გიორგი კაკაბაძე**


ვიტალი მუტკო და გუს ჰიდინკი

# გუსი რუსია

**გუს ჰიდინკი** გუშინ მოსკოვში ჩავიდა და რუსეთის საფეხბურთო კავშირთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ჰოლანდიელი ოფიციალურად გახდა ნაკრების მწვრთნელი და ოთხ მილიონ ევროს ჩაიჯიბავს. 2008-ში ჰიდინკთან კონტრაქტი შესაძლოა, კიდევ ორი წლით გაახანგრძლივონ. ეს უკვე შედეგზეა დამოკიდებული.

„ამბიციური კაცი ვარ და მსურს, რომ წარმატებას აქაც მივაღწიო. ნაკრებს აქვს პოტენციალი და ამიტომაც დავყაბულდი რუსთა წინადადებას“ — თქვა 59 წლის ჰოლანდიელმა.

# ეტოო თხოვდება

**აზიის** ფეხბურთის კონფედერაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე წერია, რომ სამუელ ეტოო შემოდგომაზე საუდეთის „ალ იტიჰადში“ ითამაშებს. ოღონდ, არაბული კლუბი კამერუნელ ფორვარდს „ბარსასგან“ რამდენიმე მატჩით ითხოვებს. „ალ იტიჰადი“, რომლის მწვრთნელიც ბრუნო მეტსუა და შემოდგომაზე აზიის ჩემპიონთა ლიგაში გამოვა, „ბარსელონას“ ქირას გადაუხდის. გარიგების დეტალები უცნობია, თუმცა იქვე ეტოოს ნათქვამიცაა: „ამ კონტრაქტში ფული მთავარი არაა. მომეწონა ეს ვარიანტი და ამიტომ დავთანხმდი“.



„ბარსაც“ და ფეხბურთელიც გარიგებიდან ხეირს ნახავენ. აზიის ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალები სექტემბერში იწყება და ეტოოც ამ ეტაპიდან დაეხმარება არაბებს, რომლებსაც ფული ქვიშასავით ულევი აქვთ. თასი თუ მოიგეს, „ალ იტიჰადი“ დეკემბერში მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე ითამაშებს და კამერუნელსაც იახლებს.


მარტინ იოლი

# ინგლისი
## ძნელი გამოცდა იოლისთვის

**„ჩელსის“** პრემიერლიგის ზედიზედ მეორედ მოგება სურს. ჟოზე მაურინიუს შეგირდებს „ბოლტონთან“ იოლი მატჩი არ ელით, მაგრამ პორტუგალიელი მწვრთნელი მხოლოდ მოგებას ითხოვს. საინტერესოა, რომ „ჩელსიმ“ შარშან 30 აპრილს ლამპარდის წყვილი გოლით სწორედ „რიბოკზე“ გაინაღდა ჩემპიონობა. პირველ წრეში „ბოლტონი“ „სტემფორდ ბრიჯზე“ 1:5 განადგურდა.

„ჩელსის“ დანაკლისი, ფაქტობრივად, არ აქვს. მაურინიუ დღეს გადაწყვეტს, 4-3-3-ით ითამაშოს, თუ 4-4-2-ით, რომლითაც წინა ტურში „ვესტ ჰემი“ 4:1 გაანადგურა. „ბოლტონს“ დაუბრუნდა ელ-ჰაჯი დიუფი, მაგრამ იგი სათადარიგოთა სკამზე იჯდება. სემ ალარდაისის შეგირდებმა ზედიზედ ოთხი თამაში წააგეს და ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის უმცირესი შანსიღა დარჩათ.

მეოთხეადგილოსანი „ტოტენჰემი“ პოზიციის გამყარებას „გუდისონ პარკზე“ მოგებით შეეცდება. ლონდონელთა თავკაც მარტინ იოლს მხოლოდ ერთი ფეხბურთელი, მაიკლ დოუსონი აკლია. ხოლო „ევერტონს“ მიკელ არტეტა, ენდი ვან დერ მეიდე, ნუნუ ვალენტე და ჯეიმს ვოგანი არ ეყოლება.

„ყოველ კვირას ახალი გამოცდის ჩაბარება გვიწევს. თუ „არსენალი“ დარჩენილ მატჩებს მოიგებს, პრობლემები შეგვექმნება. არ უნდა დავივიწყოთ „ბლექბერნიც“. ამიტომ ქულების ფლანგვა არ შეიძლება. კარგ ფორმაში ვართ და ამ შანსის გამოყენებაა საჭირო“ — თქვა ტოტენჰემელთა მწვრთნელმა იოლმა.

„არსენალი“ სოლ კემპბელის, პასკალ სიგანის, ლორენისა და ეშლი კოულის გარეშე აპირებს „ვესტ ბრომვიჩის“ დამარცხებას. აუტსაიდერთა შორის მყოფი ბრაიან რობსონის გუნდი კი შეეცდება, „ჰაიბერიზე“ ქულა მაინც აიღოს, რაც გადარჩენისთვის ბრძოლაში ძალიან დაეხმარება.

სერიოზული გამოცდა ელის „ბლექბერნს“.

| XXXIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| არსენალი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| ბოლტონი | : | ჩელსი |
| ევერტონი | : | ტოტენჰემი |
| ფულემი | : | ჩარლტონი |
| ნიუკასლი | : | უიგანი |
| პორტსმუთი | : | მიდლსბრო |
| ვესტ ჰემი | : | სიტი |
| **ხვალ** | | |
| ასტონ ვილა | : | ბირმინგემი |
| ბლექბერნი | : | ლივერპული |

თუ მარკ ჰიუზის შეგირდები ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას აპირებენ, „ლივერპულთან“ უნდა მოიგონ. მასპინძლებს ვერ დაეხმარება ფლორენ სინამა-პონგოლი, რადგანაც იგი „ლივერპულისგან“ ჰყავთ ნათხოვარი. საეჭვოა თურქი ნახევარმცველის, თუგაის მინდორზე გასვლაც. მერსისაიდელებს კი დანიელ აგერი და ბუდევეინ ზენდენი არ ეყოლებათ.

**გიორგი კაკაბაძე**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
